





შუა საუკუნეების ქართული გაღმისა MEDIEVAL GEORGIAN CHANT

შენ ხარ ვენახი



YOU ARE A VINEYARD

მეფე დემეტრე | ბაგრატიონის პიმი
HYMN BY KING DEMETRE I BAGRATIONI



გვრცელება
SECOND EDITION

იდეის ავტორი: კონსტანტინე ნაცვლიშვილი

PROJECT IDEA: KONSTANTINE NATSVLISHVILI

შემუშავებელი: სვიმონ ჯიქი ჯანგულაშვილი, ლევან ვეშაპიძე

COMPILES: SVIMON (JIKI) JANGULASHVILI, LEVAN VESHAPIDZE

რედაქტორი – რუსული თარբერავი

EDITED BY RUSUDAN TSURTSUMIA

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლევან ვეშაპიძე, ნინო რაზმაძე

TECHNICAL SUPPORT (COMPUTER NOTATION) – LEVAN VESHAPIDZE, NINO RAZMADZE

მთარგმნებელი: მარიამ ცოტხალაშვილი, ეირიک ჰალვორსონი

TRANSLATORS: MARIAM TSOTSKHALASHVILI, EIRIK HALVORSON

სინა რეისონებელი: გიორგი აბრამიშვილი, არჩილ ბურჭულაძე

SOUND ENGINEERS: GIORGI ABRAMISHVILI, ARCHIL BURCHULADZE

ნახატი გარემონტი: ანუკ ბელუგა

COVER PAINTING: ANUK BELUGA

პროექტის ქორეგინატორი: ნინო რაზმაძე

PROJECT COORDINATOR: NINO RAZMADZE

© თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, TBILISI STATE CONSERVATOIRE

© საქართველოს ფილარმონიკის სახელმწიფო ცენტრი, THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

© საქართველოს ფილარმონიკის სახელმწიფო ცენტრი, THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

თბილისი 2018 TBILISI

ISMN 979-0-802101-29-6



„შენ ხარ ვენახი“ და მეფე დემეტრე I

წინამდებარე კრებული ეძღვნება ერთ საგალობელს – ქართული გალობის სიმბოლოდ ქცეულ ღმრთისმშობლის ჰიმნს „შენ ხარ ვენახი“.

შუასაუკუნეების ქართულმა პოლიფონიურმა საგალობლებმა ზეპირად და ანონიმურად მოაღწია ჩვენამდე. გამონაკლისს წარმოადგენს ქართული გალობის სიმბოლოდ ქცეული, ყველა-სათვის ცნობილი და საყვარელი ღმრთისმშობლის ჰიმნი „შენ ხარ ვენახი“. მისი ავტორია, ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული, სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფე, დემეტრე I ბაგრატიონი (1093–1156), ბერობაში დამიანე, ძე წმიდა მეფისა დავით აღმაშენებლისა (1073–1125).

მიიჩნევენ, რომ დემეტრე I-ის შემოქმედება უფრო მრავალ-რიცხოვანი იყო¹, თუმცა ჩვენამდე „შენ ხარ ვენახმა“ და კიდევ სამი ჰიმნის, იამბიკური² ფორმის პოეტურმა ტექსტებმა მოაწია³.

დემეტრეს პოეტური ტექსტები ერთს კულტურულ მეხსიერებას შემორჩინენ, როგორც უძველესი ლიტურგიკული პრაქტიკისა და მუსიკალური ტრადიციის შემადგენელი, ქართველთათვის

1 დემეტრე-დამიანეს შესახებ ანტონ კათოლიკოსი (XVIII ს.) ამბობს: „გამომთქმელი სტიხთა მაღალ შაირთა, რომელიც დღესაც ჩანან აღწერილად“, იმანე ბატონიშვილი (XVIII–XIX ს.): „ის იყო მშვენიერი რიტორი, პიტიკოსი და შემთხვეველი უცხოდ შაირთა, რომელმანცა მრავალი სავალანი გამოთქვა“.

2 იამბიკა, იამბიკონი – ძვ. ბერძნული პოეზიის სალექსო ზომა, რომელიც ძვ. ქართულ სასულიერო პოეზიაში გავრცელდა. იამბიკონ ხუთმუხლიანი ურითმო ლექსია, რომლის ყოველი სტრიქონი ანუ ტაეპი ცეზურით ორნაწილად იყოფა (5+7). იამბიკოში 5 ასეთი 12 მარცვლიანი ტაეპია, მთლიანობაში კი – 60 მარცვალი. მარცვლების განაწილებაში დასაშვები იყო მცირე ცვალებადობა. ქართულ იამბიკოში, განვითარების პროცესში, გაჩნდა რითმაც. ასეთია დემეტრეს იამბიკოებიც.

3 ჩმ. შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი 2 იამბიკი („შენის დაფნისა იშიოებს ასურსა“, „ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე კაცი“) და 2 იამბიკი „ღმრთისმშობლისა“ („ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“, „შენ ხარ ვენახი“).

მეტად მნიშვნელოვანი საგალობლები. ეს ტექსტები იდენტური მუსიკით (ცხადია, ვარიანტული ცვლილებებით) იგალობებოდა და ასევეა დაფიქსირებული XIX–XX საუკუნეთა სანოტო ჩანაწერებში, თუმცა ამათგან გამორჩეული ადგილი უჭირავს „შენ ხარ ვენახს“, რომლის მრავალი ვარიანტია ჩანერილი XIX–XXI საუკუნეებში.

ძველ საღვთისმსახურო წიგნებსა და საგალობელთა სანოტო წყაროებში, ასევე ზეპირი გადმოცემით, ამ იამბიკოების არა მხოლოდ ტექსტის, არამედ მუსიკის ავტორადაც დემეტრე I-ია დასახელებული, რაც სრულიად სარწმუნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეუ საუკუნეების მუსიკალურ ხელოვნებაში პოეტური და მუსიკალური ტექსტების ავტორი, ხშირად, ერთი და იგივე პირი იყო.

თავისი სახელოვანი მამის მსგავსად, დემეტრეც, დიდებით მოსილი მეფე, დაუმარცხებელი მხედართმთავარი და თავისი დროისათვის უგანათლებულესი ადამიანი იყო. მისი მეფობის სანაში საქართველო აგრძელებდა განვითარების აღმაშენებლისეულ გზას – ქვეყნის კულტურული ამაღლებისაკენ მიმართულ საშინაო პოლიტიკას და პრო-ევროპულ საგარეო პოლიტიკას – სამხედრო, პოლიტიკურ და რელიგიურ-კულტურულ კავშირს ევროპელ ჯვაროსნებთან. დემეტრე-დამიანემ არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქ-სელჩუკებზე, რომლებიც ცდილობდნენ ახლად გაძლიერებული საქართველოს შევიწროებასა და ტერიტორიების წარმევას.

დემეტრე მამის ტრადიციას აგრძელებდა არა მხოლოდ როგორც სახელმწიფო მოღვაწე, არამედ, როგორც ჰიმნოგრაფი. ცნობილია, რომ მწიგნობრობით განთქმული დავით აღმაშენებელი, სახელმწიფოებრივი საქმეებიდან მოცალეობის უამს, პოეზიას მიმართავდა. ქართულმა მატიანემ შემოგვინახა ცნობა, რომ 1121 წლის 12 აგვისტოს, დიდობლაში დიდი მუ-



სულმანური კოალიციის ძლევას აღმაშენებელმა გამარჯვების ჰიმნი მიუძღვნა, ხოლო თავისი მოღვაწეობის დასასრულს ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში, „გალობანი სინანულისანი“ შექმნა.

გადმოცემის თანახმად, დემეტრეს თავისი იამბიკოები, მათ შორის „შენ ხარ ვენახი“, სწორედ სიცოცხლის უკანასკნელ წელს, დავით-გარეჯის მონასტერში დაყუდებისას, ამქეყნიურ ღელვათა და ტკივილთაგან გარიდებისას, სულიერი ნუგეშისა და სიმშვიდის ძებნის უამს, სინანულის ნიშნად დაუწერია. დემეტრეს ბობოქარ ცხოვრებაში იყო ადამიანური ტრაგედიებიც და შეცოდებებიც – სხვა სამეფო ოჯახების მსგავსად, ვერც დემეტრეს სახლი გადაურჩა სატახტო ინტრიგებს. ადამიანის სინანული საკუთარი შეცოდებების გამო, ღრმად ფსიქოლოგიური, მეტაფიზიკური, მისტიკური და ინტიმური პროცესია. იამბიკოებში ჩანს, რომ „გალობანი სინანულისანის“ ავტორის ძემ შეძლო, პირადი განცდების სიმწარის მიღმა, განეჭვრიტა მარადიული ჰარმონია, დაენახა და ზიარებოდა უსაზღვრო სიყვარულისა და სიკეთის – ღმერთის მანუგეშებელ მადლა და წყალობას. ადამიანი რთული არსებაა, მისი პიროვნება მრავალი ასპექტისაგან შედგება. „შენ ხარ ვენახის“ ავტორმა თავის იამბიკოებში გადმოსცა ის იდეალები, სიკეთე და სულიერი სიმრთელე, რასაც მთელი ცხოვრება, ბრძოლებისა და შეცდომების მიუხედავად, გულით ატარებდა.

ამასთან, დემეტრეს პეტიკა ირეკლავს მისი ეპოქის ცხოვრებასა და კულტურას, რომელმაც XI–XIII საუკუნეებში დიდ აღმავლობას მიაღწია. საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი „ოქროს ხანადაა“ აღიარებული, ხოლო ამ პერიოდის კულტურა – აღმოსავლურ, ქართულ რენესანსად⁴, რომლის მნვერვალიც შოთა რუსთაველის (XII ს.) „ვეფხისტყაოსანია“.

დემეტრეს იამბიკოებიც რენესანსული სულითაა გამსჭვალული. ლირიზმითა და ადამიანურობით აღბეჭდილ ამ საგალობლებს გამოარჩევთ ზეციური და მიწიერი სახე-ხატების ჰარმონიულობა, რელიგიური და ფოლკლორული სიმბოლოების სინთეზი, ლიმობიერებასთან შეზავებული აღმაფრენა და რელიგიურ მედიტაციურობასთან შერწყმული მხატვრულ-ემოციური ექსპრესიის მაღალი ხარისხი, რაც, ზოგადად, შუა საუ-

კუნეების ქართული ჰიმნოგრაფიისა და გალობის ესთეტიკისა თავისებურებადა მიჩნეული.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ღმთისმშობლისადმი მიძღვნილ დემეტრესულ ორ იამბიკოს – „შენ ხარ ვენახი“ და „ლმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“, რომლებიც საღვთისმსახურო ლიტურგიკულ პრაქტიკაშია შეტანილი „ლმრთისმშობლისად“⁵. პოეტური ფორმის გამო, რომელსაც რითმა განსაკუთრებულ დახვეწილობას სძენს, მათ ქართული იამბიკოს კლასიკურ ნიმუშებად მიიჩნევენ.

ქართულ საგალობელთა შორის „შენ ხარ ვენახის“ განსაკუთრებულობას ისიც განაპირობებს, რომ იგი შუასაუკუნეების ქართული მუსიკის ერთადერთი ნიმუშია, რომლის ავტორის სახელმა ჩვენამდე მოაღწია.

„შენ ხარ ვენახი“ კიდევ ერთი მაჩვენებელია ძველი ქართული პოლიფონიური სასულიერო მუსიკის, როგორც პროფესიული კულტურის, განვითარების მაღალი დონისა. ქართული საგალობელი, რომელიც ერთხმიანი ქრისტიანული საგალობლიდან განვითარდა, ქართული საერო მრავალხმიანობის გავლენით უკვე ადრეულ შუა საუკუნეებშივე, ხოლო დადასტურებულად XI სუკუნეში, მრავალხმიანი იყო. ამას ვიგებთ ამ პერიოდის ქართველი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის, წმიდა იოანე პეტრიწის ნაშრომიდან, რომელშიც იგი ასახელებს სამი ხმის იმდროინდელ სახელწოდებებს: „მზახრ“ (ნიშნავს „მძახებელს“), „უირ“ (ორი), „ბამ“ (იგივეა, რაც ბანი) და ქართველ მკითხველს მუსიკალური ანალოგით – სამი ხმის „მეყოვლებით“ შექმნილი ერთობლიობის მაგალითზე – უხსნის სწავლებას ღვთაებრივი ერთარსება სამების შესახებ. ჩანს, რომ პეტრიწის დროს მრავალხმიანობა საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ხოლო ხმების ორიგინალური სახელები – ყველასათვის კარგად ცნობილი, სწორედ ამიტომ ფილოსოფოსი სამების დოგმატს ქართველებისათვის კარგად ნაცნობი ცნებებით განმარტავს.

ქართული გალობა შუა საუკუნეებში ნახევრად-ზეპირი, მნე-

5 სავარაუდოდ, გვიან შუა საუკუნეებში, ამ ჰიმნებმა დამატებითი ლიტურგიკული ფუნქციაც შეძინა – მათ გალობდნენ ჯვრისწერის (ცერემონიალზე, ნეფელებიფლის ტაძარში შესვლისას). ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ღვთისმშობლის მფარველობისა და ნაყოფიერებისა და ლხენის სიმბოლოს – ზეციური ვენახის ხენება ახლადშექმნილი ოჯახის სიყვარულის დალოცვისას.



მონური ხელოვნება იყო. წყაროებში ჩანს, რომ XIII საუკუნიდან გალობა გასცდა ეკლესია-მონასტრებს და საერთო-ეროვნულ, სახალხო, ტრადიციულ ხელოვნებადაც იქცა. ეს პროცესი გა-აღრმავა შემდგომი ეპოქების ისტორიულმა ძნელბედობამაც – დანგრეული და აოხრებული მონასტრების ნაცვლად, საგალო-ბლებს ხალხი სწავლობდა და თაობიდან თაობას ზეპირად გა-დასცემდა. ქართველთათვის დამახასიათებელი იმპროვიზაცი-ულობისა და გალობისადმი სიყვარულის წარმომჩენი ეს მოვ-ლენა, თავად შეუ საუკუნეების პროფესიული თუ ტრადიციუ-ლი ხელოვნების თავისებურებებთან ერთად, გახდა მიზეზი ერთი და იგივე პირველ ხმაზე, cantus firmus-ზე საგალობელთა აურაცხელი ვარიანტების შეთხზვისა, გარდაქმნა-გარდასახვი-სა, „გამშვენებისა“.

ეს პროცესი „შენ ხარ ვენახზეც“ აისახა.

ძველ საქართველოში ჩვეული მოვლენა იყო, როდესაც ერთი პოეტური ტექსტი სხვადასხვა მუსიკით (ორი, სამი ან მეტი განსხვავებული მელოდითა და მათზე შეწყობილი პოლიფონ-იური ფაქტურით) იგალობებოდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჰიმ-ნიოგრაფი მიქაელ მოდრეკილი (X ს.) საუპრობს თავის „იად-გარში⁶. XIX–XX საუკუნეებში ნოტებზე თუ აუდიოჩანაწერებში დაფიქსირებულია მრავალი ასეთი საგალობელი, რომლებსაც აქვთ ერთნაირი პოეტური და განსხვავებული მუსიკალური ტექსტები.

დემეტრეს იამბიკური ჰიმნები, მათ შორის, „შენ ხარ ვენახიც“, ისეთ საგალობელთა ჯგუფს განეკუთვნებიან, რომლებიც ორი განსხვავებული მელოდიით იგალობებოდნენ და, ასევე, განსხ-ვავებული ვარიანტების სახით მოვიდა XX საუკუნემდე. წინამ-დებარე კრებულში ვაქვეყნებთ „შენ ხარ ვენახის“ ორი მელო-

დიის მქონე 25 განსხვავებულ ვარიანტს.

დღეისათვის, წყაროების დაკარგვის გამო, უცნობია, ამ ორი მელოდიიდან რომელი შეთხზა, ან რომელი მელოდიისათვის შექმნა პოეტური ტექსტები დემეტრე-დამიანებ. თუკი მიქაელ მოდრეკილის ზემოთ ხსენებულ სიტყვებს გავიხსენებთ, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორმა „შენ ხარ ვენახი“ და სხვა ჰიმნები თავიდანვე ორი მელოდიით საგალობლად, ორნაირი მუსიკით, ე.ი. „მეხურად“ შექმნა.

XIX საუკუნემდე (როდესაც მოხდა მათი ნოტებზე ჩაწერა) შეუ საუკუნეების ქართული საგალობლები ორი ტრადიციის სახით – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განმტოებებად მოვიდა. მათ აერთიანებთ პირველ ხმაში მოცემული იდენტუ-რი სამგალობლო მელოდიები და განსხვავებთ ჰარმონიულ-პოლიფონური განვითარების თავისებურებები. გამონაკლისს არც „შენ ხარ ვენახი“ წარმოადგენს.

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში ყვე-ლა „შენ ხარ ვენახი“ დაფიქსირებულია მხოლოდ „იამბიკოს ჰიმნით“⁷, რომელსაც წყაროები ოქტოიხოსის IV ხმას მიაკუთ-ვნებენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსაში – მეორე მე-ლოდიით, VI ხმის ტროპარ-დასდებელთა ჰიმნითაა წარმოდგე-ნილი. „შენ ხარ ვენახის“ ზოგიერთი ვარიანტი XIX საუკუნის სანოტო ხელნაწერებსა თუ გამოცემებშია დაფიქსირებული, ზოგიერთი კი, XX-XXI საუკუნეებამდე მოვიდა ზეპირი ტრადი-ციით.

მკვლევრები ქართული გალობაში სხვადასხვა სამონასტრო ტრადიციებს, სკოლებს გამოყოფენ. №1–5 საგალობლები დასავლეთ საქართველოს, ე.წ. გელათის სკოლის, №6–11 – დასავლეთ საქართველოს, ე.წ. შემოქმედის სკოლის (გურია), ხოლო №13–25 ჰიმნები – აღმოსავლეთ საქართველოს, ე.წ. სვეტიცხოვლის სკოლის ნიმუშებია.

გამოცემაში შესულ „შენ ხარ ვენახებში“ ქართული გალო-ბის ტიპური სტილური თავისებურებები ვლინდება: ფაქტუ-

⁶ „მრავალნი საგალობელნი ორ კილოზედ (ორი განსხვავებული მელოდი-ით – რედ.) იგალობებიან, ე.ი. მეხურად, როგორც მიქაელ მოდრეკილი გვამცრებს... საგალობელთა ორ კილოზედ გალობისათვის (ორი მელო-დიის მქონე საგალობლების არსებობის შესახებ), აი, რა მშვენიერს და საყურადღებო ცნობას გვაძლევს სახელოვანი მიქელ-მოდრეკილი...: „ქ. საყვარელნო, უკეთუ ერთსა სძლისპირსა ზედა რომელიმე კილო (მელო-დია) ერთი ორგვარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო გიჩნ, ნუცა ურთიერთას წინააღმდეგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისპირისა ერთი კილო ორ გვარად არს მეხურად (რადგანაც, გარკვეული, ბევრი ძლისპირის ერთი მელოდია, მეხელების ტრადიციაში ორნაირია, ორი სახისაა). ხოლო შენ, რომელიმე გინებს, ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს“ (კარბელაშვილი, 2011:34).

⁷ მოქმედ ქართულ სალვატორესაბურო-სამგალობლო რეპერტუარში დემეტ-რეს 4 იამბიკოს გარდა, სულ რამდენიმე იამბიკოა და ყველა მათგანი ჩვე-ნი კრებულის №1–13 „შენ ხარ ვენახების“ ჰიმნით ვარიანტები იგალობება, რომელსაც „იამბიკოს კილოს“ (იამბიკოს მელოდიას) უწოდებდნენ (კარბელაშვილი, 2011:34).



როს დამახასიათებელი ლინეარული, ვერტიკალური და სილ-რმისეული განვითარება – „სადა“ ნიმუშების ტერციული თუ არქაული კვინტური პარალელიზმიდან „გამშვენებული“ საგა-ლობლების კონტრაპუნქტული, პოლი-მელოდიური პოლიფო-ნიისაკენ. მელოდიური და პოლიფონიური გარდასახვის ნაირ-ფეროვნების უშრეტი პოტენციალი, მოდალური ჰარმონია, დიატონური კილოები და კილოურ ცვალებადობათა სიხშირე, ჰარმონიული ვერტიკალის ფერადოვნება, კონსონირებული და დისონირებული თანაულერადობების ინტენსიური ცვალებადო-ბა განსაზღვრავს საგალობელთა სტრუქტურის სირთულესა და იმპროვიზაციულ ხასიათს და ავლენს მათში განივთებული მუსიკალური აზროვნების უნიკალობას, რაც მუსიკის თანამე-დროვე მკვლევართა (მათ შორის, უცხოელების – ს. არომი საფრანგეთიდან, პ. ვალეჰო ესპანეთიდან, ფ. შერბაუმი გერ-მანიიდან, მ. არნდტი აშშ-დან და სხვ.) დიდ დაინტერესებას იწვევს.

„შენ ხარ ვენახში“ განსაკუთრებული რელიეფურობით ვლინდე-ბა ქართული გალობის დასავლურ და აღმოსავლურ განშტოე-ბებს შორის არსებული სტილური განსხვავება.

დასავლურ-ქართულ ვარიანტებში ჩანს, როგორც არქაული ჰეტეროფონიული პარალელიზმი, ასევე გამძაფრებული ლტო-ლვა კონტრაპუნქტული სირთულის დახვეწილი ფორმებისაკ-ენ. მათში მელოდიურ ჩუქურთმათა ურთიერთ-გადაწვნა, მძ-აფრი და მოულოდნელი გადასვლები, ზოგჯერ დაძაბული, და ზოგჯერ რბილი, ლმობიერი ჟღერადობების ფერადოვანი მო-ნაცვლეობა, ქართული ორნამენტების ვირტუოზულ სინატ-იფესთან იწვევს ასოციაციას. ამ საგალობლების ესთეტიკურ აზროვნებას მისტიკურობა, ლმობიერება, ამაღლებულობა და სინათლით აღსავსე მხატვრული გამომსახველობა ახასიათებს.

„შენ ხარ ვენახის“ აღმოსავლურ-ქართული ვარიანტები კი, მდორე, ტალღოვანი სეკუნდური სვლებით, გაბმული კანტი-ლენური კონტრაპუნქტით გამოირჩევიან. მათში უნიკალური და სახასიათოა II ხმის მელოდია, რომელიც, მართლაც, ვაზი-ვითაა გადაწყვეტილი I და III ხმების თითქოსდა ზეცაში დაკიდე-ბულ ბგერებთან და გასხივოსნებით, მადლით, სიმშვიდითა და ლმობიერებით აღსავსე მხატვრულ სამყაროს წარმოშობს.

კრებულში მოცემული ჰიმნთა უმრავლესობა პირველად ქვეყნ-

დება. მათ შორის გამორჩეულია ნიმუშები № 8, 11, 12, 22–24, რომლებშიც ქართული სასულიერო და საერო მუსიკალური აზ-როვნების სინთეზი განუმეორებელი სილამაზის მქონე მელო-დიურ-პოლიფონიურ და ჰარმონიულ ნაგებობებს წარმოქმნის.

ქართველ ხალხში ქართული გალობის სიმბოლოდაა ქცეული №25 „შენ ხარ ვენახი“. ეს შემთხვევითი არაა – მისი მუსიკის პოლიფონიურობა და აზრის გამჭვირვალობა, ამაღლებულობა და ემოციური ექსპრესიულობა, რელიგიური ჭვრეტა და ლი-რიზმით აღბეჭდილი მაღალი ესთეტიზმი, ღვთაებრივისა და ადამიანურის გასხივოსნებულ, რენესანსულ ჰარმონიას წარ-მოსახავს.

„შენ ხარ ვენახის“ ეს ვარიანტი ქართველების კოლექტიური არაცნობიერის ყველაზე ღრმა მხარეების მუსიკალურ-პოე-ტური განსხეულებაა: დედა ღვთისმშობელი ვენახია, გაზაფ-ხულზე ახლად-აყვავებული; ე.ო. ის მარადიული სიცოცხლის აყვავილება და წყაროა; ვენახია, რომლის ნაყოფიც ღვთაე-ბრივი წეტარება, მანუგეშებელი სიტკოება და უზრუნველი ლხენაა; ღვთისმშობელი კეთილი ნერგია, ედემში ნერგული; სურნელოვანი ალვა, ყველაზე შემკობილი და მშვენიერი (მშ-ვენიერების ღვთაებრიობის რენესანსული იდეა); თავისი არ-სით გაბრნებული, ზენიტში მყოფი მზეა (ღვთაებრივი და ზეგარდამო-მოფენილი სინათლის რენესანსული იდეა).

„შენ ხარ ვენახი“ ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი უძვირფასესი მარგალიტია, რომლის მსოფლიოსათვის გაცნობას ემსახურება ეს პატარა კრებული.

დამოწმებული ლიტერატურა

კარბელაშვილი, პოლივექტოს. (2011). ქართული საერო და სასული-ერო კილოები. თბილისი: „კაბადონი“.

ნუცუბიძე, შალვა. (1960). ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

ნუცუბიძე, შალვა. (1967). რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი. ტ IV. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

Лосев, Алексей. (1998). Эстетика Возрождения. Москва: Мысл.

You Are a Vineyard and King Demetre I

The following publication is dedicated to one specific chant and a symbol of Georgian chant – the hymn to the Holy Mother of God “You Are a Vineyard”.

Georgian polyphonic chants of the Middle Ages have mostly survived anonymously through oral tradition. However, this commonly-known and beloved Georgian chant is truly an exception. It was written by the king of united Georgia Demetre I Bagrationi (1093–1156) – known as Damiane the Monk and called a saint by the Georgian Orthodox Church. He was the son of the famous Georgian king, Saint Davit Aghmashenebeli (1073–1125).

The works of Demetre I are considered to have been more numerous in earlier times,¹ but the list of surviving creations include: “You Are a Vineyard”, 3 hymns, and some poetic works² in iambic³ forms.

However, those poems have remained in the cultural memory of the Georgian nation as constituents of an ancient liturgical practice and musical tradition, being very important chants for Georgians. These poems were chanted to the same music (with variations) and are also kept in 19th–20th century notated transcriptions. Despite the numerous

1 Catholicos Anton (18th century) says about Demetre-Damiane: “He [was] a poet who recited poems in a fast meter which appear to be written even today.” Ioane Batonishvili (18–19th centuries): “He was an amazing orator, ecclesiastical poet, and composer of wondrous poems expressing many teachings.”

2 Two Iambikos for Shio the Cave-dweller (“From Your Laurels the Assyrian Becomes Shio”, “I Saw a Man Hanging in the Heavens by a Thread”) and two Iambikos “to the Mother of God” (“The Mother of God and Most Honorable”, “You Are a Vineyard”).

3 Iambic poetry – an ancient Greek poetic form which spread into Georgian hymnography. It’s a 5-line verlibre, with each line split into two parts (5+7). Iambic poems contain 5 lines having 12 syllables each, with 60 syllables total. Slight variations in the distribution of syllables were permissible. A meter gradually appeared in Georgian iambic poetry, such is the case with Demetre’s iambic poetry as well.


list of chants, “You Are a Vineyard” has a unique place with dozens of variations transcribed in the 19th–21st centuries.

In old liturgical volumes and chant transcriptions, as well as those transmitted orally, Demetre is named as not only the author of these iambic texts, but also as the composer of the music. This is fully credible, if it is taken into account that the authors of poetic and musical texts in medieval hymnography were often the same person.

Like his famous father, Demetre, a glorious king, was an undefeated military general and an extremely educated person for that time. During his reign, Georgia was continuing to develop like in the older times of David Aghmashenebeli, which meant cultural growth inside the country and pro-European politics abroad: a military, political, religious and cultural connection with the European Crusaders. Demetre earned several great victories against the Seljuk Empire which was attempting to oppress the newly strengthened Georgia and snatch away its territories.

Besides being a great politician, Demetre was also following his father’s footsteps in hymnography. It is known that he wrote poetry whenever he was free from political obligations. According to Georgian chronicles, after the great Battle of Didgori (August 12, 1121) he dedicated a hymn to the victory against the Muslim coalition. Additionally, at the end of his career, he wrote *Galobani sinanulisani* (Chants of Repentance) – one of the prominent exemplars of Georgian hymnography.

According to the narratives, Demetre’s iambic poetry, including “You Are a Vineyard”, was written in the last year of his life while being a hermit at Davit-Gareji Monastery and trying to keep away from all the earthly and ephemeral cares and find an inner spiritual peace. “You Are a Vineyard” was an expression of repentance. There had been much sin and tragedy in Demetre’s life – like other royal families, his



palace was also involved in royal intrigues. A person's repentance due to their sins is a great psychological, metaphysical, mystical, and intimate process.

In the iambic poetry, it appears that the son of the author of "Chants of Repentance" was able to contemplate the eternal harmony beyond the bitterness of his own trials, to see and take part in endless love and goodness – the comforting grace and mercy of God. A human being is a complex creature, his personality consists of many aspects. In his own iambic verses, the author conveyed those ideals, goodness, and spiritual wholeness he had carried throughout his entire life, despite the battles and mistakes.

Additionally, Demetre's poetry gives us a picture of the common life and culture of the period, which had reached great heights in the 11th–12th centuries. This is recognized as the "Golden Age" of Georgia's history, whereas this era's culture was an Oriental, Georgian Renaissance⁴ crowned by *Vepkhitkaosani* "The Knight in the Panther's Skin" by Shota Rustaveli (12th century).

Demetre's iambics are also imbued with the spirit of the Renaissance. Imprinted with lyricism and humanity, these chants are distinguished by their harmony of celestial and terrestrial images, a synthesis of religious and folk symbolism, rapture mixed with compassion, and a high level of creative, emotional expression merged with religious contemplation. In general these are considered to be the characteristics of the aesthetics of medieval Georgian hymnography and chant.

Two iambic poems by Demetre dedicated to the Mother of God hold a prominent place in Georgian hymnography: "You Are a Vineyard" and "The Mother of God and Most Honorable", which are designated as being for the "Mother of God"⁵ in liturgical practice. Because of the poetic form and exceptional rhyme, they're considered as classic samples of Georgian iambics.

"You Are a Vineyard" is the only example of medieval Georgian music

⁴ Losev, 1998; Nutsubidze, 1960; Nutsubidze 1967.

⁵ Supposedly, these hymns acquired another function in the late Middle Ages: they were chanted during the wedding ceremony when the bride and groom came into the church. This mention of a celestial vineyard – a symbol of the Virgin's protection, and of fertility and joy – during the blessing of the newlyweds' love is probably not by chance.

surviving with the name of its author, so that is another reason for its uniqueness.

This chant is yet one more indicator of the expert level of the development of ancient Georgian polyphonic church music as a professional culture. Having developed from monophonic Christian chants, Georgian chants were already polyphonic in the early Middle Ages (confirmed in the 11th century) through the influence of Georgian secular polyphony. This is proved by the words of Saint Ioane Chimchimeli of Petritsoni – a Georgian neoplatonic philosopher of that period. He mentions the names of three voices: "Mzakhr" (meaning one who calls out), "zhir" (two), "bam" (same as "bani" – the bass voice) and explains the concept of the Trinity using the example of the three unified voices. It is obvious that polyphony was quite common and three voices were well known by that time in Georgia. That's why he explains the Trinity dogma for Georgians using quite familiar concepts.

In the Middle Ages Georgian chanting was partially an oral, mnemonic art. Sources reveal that from 13th century chanting went beyond the churches and monasteries and turned into a common national, public, traditional art. This process was deepened by the historical adversities in following epochs – instead of the ruined and devastated monasteries, chants were studied by ordinary people and orally transmitted to subsequent generations. This event, demonstrating the Georgians' characteristic love of improvisation and chanting, together with the peculiarities of professional or traditional medieval art, became the reason for the composition, transformation, and embellishment of numerous variants in the upper voice over a cantus firmus.

This process was reflected in the chant "Shen khar venakhi" as well.

Chanting the same poetic text to different music (with two, three, or more different melodies and polyphonic textures fitted to them) was a common practice in ancient Georgia. The hymnographer Mikael Modrekili (10th century) was the first to speak about it in his *Iadgari*.⁶ Lots

⁶ "Many chants are sung in two modes (two different melodies – ed.), i.e. in the mekhian style, as we are informed by Mikael Modrekili... In regard to singing chants having two melodies, look what wondrous and noteworthy information is given to us by the famous Mikael Modrekili: 'My beloved people, if a melody is noted in two ways above a heirmos, do not let it baffle you or oppose each other, for many heirmois having two melodies each are in the mekhian style (because the single melodies of many heirmois have two versions in the mekheli tradition). So, you may sing whichever one



of chants having the same poetic texts but different musical settings are presented in audio recordings or notated publications in 19th–20th centuries.

Demetre's iambic hymns, including "Shen Khar Venakhi", belong to such a group of chants which were sung in two different melodies and also survived to the 20th century in different variants. In the present collection we are publishing more than 25 different variants of "Shen Khar Venakhi" having 2 melodies.

Because of lost sources, today it is unknown which of these two melodies were created by Demetre-Damiane, or which melody he had written the poetic texts for. If we refer to the aforementioned words of Mikael Modrekili, we can assume that the author had initially composed "Shen khar venakhi" and other hymns with two melodies, with two kinds of music, i.e. in the "mekhuri" style.

Georgian chants of the Middle Ages survived to the 19th century (when these chants were notated) in the form of two traditions – western and eastern Georgian chant. They are united by chant melodies presented in the upper voice and differ in regard to the peculiarities of harmonic and polyphonic development. "Shen khar venakhi" is no exception either.

In the western Georgian chant tradition every "You Are a Vineyard" is attested only by the "iambic melody"⁷, which is assigned to the 4th tone of the Octoechos in sources, whereas in the eastern Georgian tradition it is presented by the second melody belonging to the 6th troparion-sticherion tone of the Octoechos. Some variants of "You Are a Vineyard" are attested in notated manuscripts and publications from the 19th century and some of them survived via oral tradition until the 20th–21st centuries.

Researchers differentiate various monastic traditions and schools in Georgian chant. Chants #1–12 are samples of the western Georgian, Gelati school and chants #13–25 are samples of the Eastern Georgian,



Svetitskhoveli School.

In the "You Are a Vineyard" chants included in the publication, some typical peculiarities of Georgian chant are revealed: the linear, vertical, and special development of the texture –, from the parallelism of the thirds or archaic fifths of the "plain" samples to the contrapuntal, polymelodic polyphony of "embellished" chants. The structural complexities and improvisational character of the chants are revealed in the limitless potential of melodic and polyphonic transformations, modal harmony, diatonic scales and their frequent transpositions, colorful harmonic sonorities, and the intensive variability of consonant and dissonant harmonies. The uniqueness of the developed musical thought is revealed through these things, thus being of great interest to contemporary scholars (including foreigners: S. Arom from France, P. Vallejo from Spain, F. Scherbaum from Germany, M. Arndt from USA, and so on).

The stark differences between eastern and western Georgian chant are particularly well revealed in "You Are a Vineyard". Western Georgian variants demonstrate archaic heterophonic parallelism, as well as a strong attraction to sophisticated forms of contrapuntal complexity. Intertwining melodic ornamentation, strong and unexpected movements, colorful variations of sometimes tense and sometimes soft sounds create associations to the virtuosic elegance of Georgian ornaments. Mysticism, compassion, sublimity, and artistic expression rich with light are reflected in the aesthetic thinking of these chants.

On the other hand, eastern Georgian variants of "You Are a Vineyard" are characterized by the slow, wavy movements of seconds. The melody of the middle voice is unique there, intertwined like a grapevine with the upper and bass voices, as if they are hovering in the sky and creating an artistic universe full of illumination, grace, calmness, and compassion.

The majority of the tunes from the collection is being published for the first time. The most distinguished are samples #8, 11, 12, 22–24, where the synthesis of Georgian religious and secular musical thought creates outstandingly beautiful melodic, polyphonic, and harmonic structures.

For Georgian "You are the Vineyard" #25 represents a symbol of Geor-

you like, because both of them are right" (Karbelashvili, 2011:34)."

⁷ In the current Georgian liturgical chant repertoire, there are only a few iambikos with the exception of the 4 by Demetre and all of them are sung to the melody of "You Are a Vineyard" #1–13 presented in our publication and referred to as "the iambiko mode" (the iambiko melody) (Karbelashvili, 2011:34).



gian chant. It is not a coincidence, its polyphonic richness and transparency of thought, its exalted state and emotional expressiveness, its religious contemplation and lofty aestheticism create a radiant harmony of the divine and human.

This variant of “You Are a Vineyard” represents a musical, poetic embodiment of the most profound parts of Georgians’ collective unconscious thought: the Mother of God is a vineyard, newly blossomed in spring. I.e., it represents the source and efflorescence of eternal life; she is a vineyard whose fruit is divine beatitude, comforting pleasure, and carefree delight; the Mother of God is a fine sapling growing in Eden; she is a fragrant poplar, most adorned and beautiful (the Renaissance idea of divine beauty); by her essence she is a sun at its zenith, shining brilliantly (the Renaissance idea of divine light emanating from heaven above)

“You Are a Vineyard” represents one of the most precious pearls of

Georgian musical culture and this small collection serves to introduce it to the world.

References:

- Karbelashvili, Polievktos. (2011). *Georgian Secular and Sacred Modes*. “Kabadoni”. Tbilisi.
- Nutsubidze, Shalva. (1960). *History of Georgian Philosophy*. Vol. I. Tbilisi: the Georgian Academy of Sciences.
- Nutsubidze, Shalva. (1967). *Rustaveli and Oriental Renaissance*. Vol. IV. Tbilisi: the Georgian Academy of Sciences.
- Losev, Aleksei. (1998). *Estetika Vozrozhdenia (Aesthetics of Renaissance)*. Moscow: Misl.



აღვნიშნავთ, რომ, როგორც საერთოდ ძველ მუსიკაში, ქართულ გალობის სანოტო ჩანაწერებშიც ტემპი, აგო-გიური და დინამიკური ნიუანსები მნირად და ზოგადად არის დაფიქსირებული. წინამდებარე კრებულში მოც-ემული ტემპისა თუ დინამიკის აღნიშვნები პირობითია. შემსრულებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ საქმე შუა საუკუ-ნეების საეკლესიო მუსიკასთან აქვთ, ამიტომ, ამ მუსიკი-სათვის ჩვეული საშემსრულებლო ხერხები და ესთეტიკა უნდა გამოიყენონ – ამ მუსიკაში ზომიერება, ლმობიერ-ება და მედიტაციურობა შერწყმულია შინაგან და ამაღ-ლებულ ემოციურობასთან.

კრებულში ხშირად შევხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდე-საც რომელიმე ხმის პარტიაში მელოდიური მოძრაობის ორი ან სამი ვარიანტია წარმოდგენილი. მათგან მხოლოდ ერთ-ერთი უნდა შესრულდეს, ისე, რომ არ დაირღვეს გა-ლობისათვის ჩვეული სამხმიანობის პრინციპი.

წინამდებარე კრებულში, საგალობელთა ნაწილი, პირვე-ლწყაროებისაგან მცირედ განსხვავებული, რედაქტირე-ბული სახითაა წარმოდგენილი. ეს ყველაზე მეტად ეხება ხელნაწერ თუ გამოცემულ სანოტო წყაროებში მოცემულ ალტერაციის ნიშნებს.

It should be noted, that the tempo, agogic, and dynamic nuances are scarce and generalized in the notated versions of Georgian chants, as well as in old music in general. In this collection, the tempo markings and dynamics are conventional. During performance, it is necessary that the aesthetic and performance manner of church music of the Middle Ages be taken into account – in it moderation, compassion, and meditativeness are merged with an inner and elevated emotionality.

In the collection one will encounter quite a few cases when there are two or three versions of melodic movement for one voice part. Only one of those versions should be performed so as not to violate the three-voice parts principle characteristic of chant.

In the following collection part of the chants are represented with edited version, slightly different from the original source. This mostly refers to the alteration signs, given both in the manuscripts and published sources of musical notation.



ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/a/	<u>father</u>	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	<u>bless</u>	
გ	g	/g/	<u>given</u>	
დ	d	/d/	<u>day</u>	
ე	e	/ɛ/	<u>set</u>	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	<u>vet</u>	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	<u>zenith</u>	
თ	t	/t ^(h) /	<u>today</u>	
ი	i	/i/	<u>meet</u>	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	<u>pick</u>	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	<u>life</u>	
მ	m	/m/	<u>mentor</u>	
ნ	n	/n/	<u>new</u>	
ო	o	/ɔ/	<u>go</u>	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	<u>upkeep</u>	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/ʒ/	<u>pleasure</u>	
რ	r	/r/	-	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	<u>see</u>	
ტ	t'	/t'/	<u>sitcom</u>	non-aspirated "t"
უ	u	/u/	<u>root</u>	pursed lips round "oo" vowel sound
ყ	p	/p ^(h) /	<u>pilgrim</u>	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/k ^(h) /	<u>call</u>	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
ჩ	gh	/ɣ/	<u>Paris</u>	Like French "r", produced in back of the throat at the same place as "g" but with friction like "kh". Not overly pronounced or audible
ყ	q	/q'/	-	Produced in the throat as a light glottal stop. Not overly pronounced or audible
შ	sh	/ʃ/	<u>shine</u>	
ჩ	ch	/tʃ ^(h) /	<u>choose</u>	
ჳ	ts	/ts ^(h) /	<u>sets</u>	
ძ	dz	/dʒ/	<u>nods</u>	
ნ	ts'	/ts'/	<u>sits</u> near	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ts"
ჭ	ch'	/tʃ'/	<u>much noise</u>	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ch"
ხ	kh	/χ/	<u>Bach</u>	As in Yiddish chutzpah, Scottish loch
ჰ	j	/dʒ/	<u>joy</u>	
ჸ	h	/h/	<u>hymn</u>	

© John A. Graham.

Modified from version in "The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant," Ph.D. dissertation (Princeton, 2015)



დასავლეთი საქართველოს სამგალოშვილო ზრუნვის

THE WEST GEORGIAN CHANTING TRADITION



1

ნოტებზე გადაღებული მღვდლის რაჟდენ თ. ხუნდაძის მიერ
გურულ-იმერულ სადა კილოზე.

Notated by Priest Razhden T. Khundadze in the
Gurian-Imeretian simple mode.

CD, track #1

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, common time. The lyrics are in Georgian and English, with some words in italics.

Top System:

- Soprano: shen khar ve - na - - - bno, akh - lad agh - qva - - - ve -
- Alto: shen khar ve - na - - - bno, akh - lad agh - qva - - - ve -
- Bass: shen khar ve - na - - - bno, akh - lad agh - qva - - - ve -

Middle System:

- Soprano: bu - li; mor - chi k'e - ti - - - li, e - dems shi - na
- Alto: bu - li; mor - chi k'e - ti - - - li, e - dems shi - na
- Bass: bu - li; mor - chi k'e - ti - - - li, e - dems shi - na

Bottom System:

- Soprano: ner - gu - - - li; al - va sun - ne - - - li,
- Alto: ner - gu - - - li; al - va sun - ne - - - li,
- Bass: ner - gu - - - li; al - va sun - ne - - - li,



Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano.

Soprano: sa - mo - - tkhes agh - - mo - sru - li; ღმერთ - man

Alto: sa - mo - - tkhes agh - - mo - sru - li; ღმერთ - man

Bass: sa - mo - - tkhes agh - - mo - sru - li; ღმერთ - man

Piano: (Accompaniment)

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano.

Soprano: შე - გამ - - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი; და თა - ვით თვი - სით

Alto: შე - გამ - - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი; და თა - ვით თვი - სით

Bass: შე - გამ - - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი; და თა - ვით თვი - სით

Piano: (Accompaniment)

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano.

Soprano: მზე ხარ გან - ბრწყინ - ვე ბუ - ლი!

Alto: მზე ხარ გან - ბრწყინ - ვე ბუ - ლი!

Bass: მზე ხარ გან - ბრწყინ - ვე ბუ - ლი!

Piano: (Accompaniment)



2

Andante

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano, set in G major, common time.

Soprano (Top Voice):

- Line 1: shen khar ve - na - bo, akh - lad agh - qva - ve - bu - li;
- Line 2: mor - chi k'e - ti - li, e - dems shi - na ner - gu - li;
- Line 3: al - va sun - ne - li, sa - mo - tkhes agh - mo - sru - li;

Alto (Middle Voice):

- Line 1: shen khar ve - na - bo, akh - lad agh - qva - ve - bu - li;
- Line 2: mor - chi k'e - ti - li, e - dems shi - na ner - gu - li;
- Line 3: al - va sun - ne - li, sa - mo - tkhes agh - mo - sru - li;

Bass (Bottom Voice):

- Line 1: shen khar ve - na - bo, akh - lad agh - qva - ve - bu - li;
- Line 2: mor - chi k'e - ti - li, e - dems shi - na ner - gu - li;
- Line 3: al - va sun - ne - li, sa - mo - tkhes agh - mo - sru - li;

Piano (Accompaniment):

- Line 1: piano part shown in the first system.
- Line 2: piano part shown in the second system.
- Line 3: piano part shown in the third system.



ღმერთ - მან შე - გამ - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი;
ღმერთ - მან შე - გამ - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი;

ghmert - man she - gam - k'o, ve - ra - vin gjobs ke - bu - li;

და თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრწყინ - ვი - ბუ - ლი!
და თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრწყინ - ვი - ბუ - ლი!

da ta - vit tvi - sit mze khar gan - brts'qin - ve - bu - li!



3

Manuscript Q674, p. 347, #274

Script Q674, p. 347, #274

CD, track #3

Andante - საშუალო მოძრაობით

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G minor, 2/4 time. The vocal parts are written on three staves, with lyrics in Georgian and English below each staff.

Soprano (Top Staff):

- Notes: $\text{G}_4, \text{A}_4, \text{B}_4, \text{C}_5, \text{D}_5, \text{E}_5, \text{F}_5, \text{G}_5, \text{A}_5, \text{B}_5, \text{C}_6, \text{D}_6, \text{E}_6, \text{F}_6, \text{G}_6, \text{A}_6, \text{B}_6, \text{C}_7, \text{D}_7, \text{E}_7, \text{F}_7, \text{G}_7, \text{A}_7, \text{B}_7, \text{C}_8$
- Text: შენ ხარ ვე - ნა - ნი, აბ - ლად აღ - ყვა -
- Performance: The soprano part consists of mostly eighth-note patterns with some sixteenth-note figures. The vocal line is primarily melodic, with some harmonic support from the bass and alto.

Alto (Middle Staff):

- Notes: $\text{A}_4, \text{B}_4, \text{C}_5, \text{D}_5, \text{E}_5, \text{F}_5, \text{G}_5, \text{A}_5, \text{B}_5, \text{C}_6, \text{D}_6, \text{E}_6, \text{F}_6, \text{G}_6, \text{A}_6, \text{B}_6, \text{C}_7, \text{D}_7, \text{E}_7, \text{F}_7, \text{G}_7, \text{A}_7, \text{B}_7, \text{C}_8$
- Text: ვე - ბუ - ლი; მორ - ჩი კე - თი - ლი, ე - დემს ში - ნა
- Performance: The alto part provides harmonic support, often singing sustained notes or chords. It also features some eighth-note patterns and sixteenth-note figures.

Bass (Bottom Staff):

- Notes: $\text{C}_4, \text{D}_4, \text{E}_4, \text{F}_4, \text{G}_4, \text{A}_4, \text{B}_4, \text{C}_5, \text{D}_5, \text{E}_5, \text{F}_5, \text{G}_5, \text{A}_5, \text{B}_5, \text{C}_6, \text{D}_6, \text{E}_6, \text{F}_6, \text{G}_6, \text{A}_6, \text{B}_6, \text{C}_7$
- Text: ნერ - გუ - ლი; ალ - ვა სუ - ნე - ნე, სა - მო - თხეს
- Performance: The bass part provides harmonic support, often singing sustained notes or chords. It also features some eighth-note patterns and sixteenth-note figures.



Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G minor, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano:

- Line 1: აღ - მო - სრუ - ლი; ღმერთ - მან შე - გამ - კო,
- Line 2: აღ - მო - სრუ - ლი; ღმერთ - მან შე - გამ - კო,

Alto:

- Line 1: აღ - მო - სრუ - ლი; ღმერთ - მან შე - გამ - კო,
- Line 2: აღ - მო - სრუ - ლი; ღმერთ - მან შე - გამ - კო,

Bass:

- Line 1: agh - mo - sru - li; ghmert - man she - gam - k'o,
- Line 2: agh - mo - sru - li; ghmert - man she - gam - k'o,

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G minor, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano:

- Line 1: ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი; და თა - ვით თვი - სით
- Line 2: ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი; და თა - ვით თვი - სით

Alto:

- Line 1: ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი; და თა - ვით თვი - სით
- Line 2: ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი; და თა - ვით თვი - სით

Bass:

- Line 1: ve - ra - vin gjobs ke - bu - li; da ta - vit tvi - sit
- Line 2: ve - ra - vin gjobs ke - bu - li; da ta - vit tvi - sit

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G minor, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano:

- Line 1: მზე ხარ გან - ბრწყინ - ვი - ბუ - ლი!
- Line 2: მზე ხარ გან - ბრწყინ - ვი - ბუ - ლი!

Alto:

- Line 1: მზე ხარ გან - ბრწყინ - ვი - ბუ - ლი!
- Line 2: მზე ხარ გან - ბრწყინ - ვი - ბუ - ლი!

Bass:

- Line 1: mze khar gan - brts'qin - ve - bu - li!
- Line 2: mze khar gan - brts'qin - ve - bu - li!



4

გადაღებულია ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ
გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის
რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან.

Notated by Philimon Koridze
Transmitted by Dimitri R. Chalaganidze, Archdeacon
Razhdan T. Khundadze, and Iviane Tsereteli.

CD, track #4

Andante

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The vocal parts are written in black ink on five-line staves. The lyrics are in Georgian and English, with some words in parentheses. The vocal parts are as follows:

- Soprano:** შენ ხარ ვე - ნა - - - ბი, ახ - ლად აღ - ყვა - - - ვე -
- Alto:** შენ ხარ ვე - ნა - - - ბი, ახ - ლად აღ - ყვა - - - ვე -
- Bass:** შენ ხარ ვე - ნა - - - ბი, ახ - ლად აღ - ყვა - - - ვე -

Rehearsal marks: 30, 60, 80.

Second system:

- Soprano:** ბუ - ლი; მორ - ჩი კ'ე - თი - - - ლი, ე - დემს ში - ნა
- Alto:** ბუ - ლი; მორ - ჩი კ'ე - თი - - - ლი, ე - დემს ში - ნა
- Bass:** ბუ - ლი; მორ - ჩი კ'ე - თი - - - ლი, ე - დემს ში - ნა

Rehearsal marks: 30, 60.

Third system:

- Soprano:** ნერ - გუ - ლი; ალ - ვა სუნ - ე - მო,
- Alto:** ნერ - გუ - ლი; ალ - ვა სუნ - ე - მო,
- Bass:** ნერ - გუ - ლი; ალ - ვა სუნ - ე - მო,

Rehearsal marks: 30, 60.



Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano:

- sa - mo - tkhes agh - mo - sru li; ღმერთ - man
- sa - mo - tkhes agh - mo - sru li; ღმერთ - man

Alto:

- sa - mo - tkhes agh - mo - sru li; ღმერთ - man
- sa - mo - tkhes agh - mo - sru li; ღმერთ - man

Bass:

- sa - mo - tkhes agh - mo - sru li; ღმერთ - man
- sa - mo - tkhes agh - mo - sru li; ღმერთ - man

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano:

- შე - გამ - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ღი;
- შე - გამ - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ღი;

Alto:

- she - gam - k'o, ve - ra - vin gjobs ke - bu - li;
- she - gam - k'o, ve - ra - vin gjobs ke - bu - li;

Bass:

- she - gam - k'o, ve - ra - vin gjobs ke - bu - li;
- she - gam - k'o, ve - ra - vin gjobs ke - bu - li;

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano:

- და - თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრწყინ - ვე ბუ - ღი!
- და - თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრწყინ - ვე ბუ - ღი!

Alto:

- და - თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრწყინ - ვე ბუ - ღი!
- და - თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრწყინ - ვე ბუ - ღი!

Bass:

- da - ta - vit tvi - sit mze khar gan - brts'qin - ve bu - li!
- da - ta - vit tvi - sit mze khar gan - brts'qin - ve bu - li!



5

დინჯად - Andante mosso

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The vocal parts are written on three staves, with lyrics in Georgian and English below them.

Soprano:

შენ ხარ ვე - ნა - - ნი, ახ - ლად აღ - ყვა - - ვე - ბუ - - ლი;

shen khar ve - na - - n'i, akh - la - d agh - qva - - ve - bu - - li;

Alto:

შენ ხარ ვე - ნა - - ნი, ახ - ლა - დ აღ - ყვა - - ვე - ბუ - - ლი;

shen khar ve - na - - n'i, akh - la - d agh - qva - - ve - bu - - li;

Bass:

შენ ხარ ვე - ნა - - ნი, ახ - ლა - დ აღ - ყვა - - ვე - ბუ - - ლი;

shen khar ve - na - - n'i, akh - la - d agh - qva - - ve - bu - - li;

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The vocal parts are written on three staves, with lyrics in Georgian and English below them.

Soprano:

მორ - ჩი ვე - ნა - - ნი, ე - დემს შე - ნა ნერ - გუ - - ლი;

mor - chi ve - na - - n'i, e - dems shi - na ner - gu - - li;

Alto:

მორ - ჩი ვე - ნა - - ნი, ე - დემს შე - ნა ნერ - გუ - - ლი;

mor - chi ve - na - - n'i, e - dems shi - na ner - gu - - li;

Bass:

მორ - ჩი ვე - ნა - - ნი, ე - დემს შე - ნა ნერ - გუ - - ლი;

mor - chi ve - na - - n'i, e - dems shi - na ner - gu - - li;



Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano (Top):
 ა - ღა სუნ - ნე - ლი, სა - მო - თხეს აღ - მო - სრუ - ლი;
 ა - ღა სუნ - ნე - ლი, სა - მო - თხეს აღ - მო - სრუ - ლი;

Alto (Middle):
 a - l - va sun - ne - li, sa - mo - tkhes agh - mo - sru - li;

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano (Top):
 ღმერთ - მან შე - გამ - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი;
 ღმერთ - მან შე - გამ - კო, ვე - რა - ვინ გჯობს ქე - ბუ - ლი;

Alto (Middle):
 ghmert - man she - gam - k'o, ve - ra - vin gjobs ke - bu - li;

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English.

Soprano (Top):
 და თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრნყინ - ვე ბუ - ლი!
 და თა - ვით თვი - სით მზე ხარ გან - ბრნყინ - ვე ბუ - ლი!

Alto (Middle):
 da ta - vit tvi - sit mze khar gan - brts'qin - ve bu - li!



დასავლეთი საქართველოს სამგალოშვილო ზრაღიშვია გურია

THE WEST GEORGIAN CHANTING TRADITION
GURIA





6

გადმოცემულია არტემ ერქომაიშვილის მიერ 1960-ან წლებში.
ნოტებზე გადაიტანა ანზორ ერქომაიშვილმა

Transcribed by Artem Erkomaishvili in the 1960s.
Notated by Anzor Erkomaishvili.

CD, track #6

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English:

შენ ხარ ვე - ნა - - - - ხი, ახ - - ლად აღ - - -
shen khar ve - na - - - - khi, akh - - lad agh - - -

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English:

ყვა - - - ვე - ბუ - - - ლი; მორ - ჩი კ'ე - თი - - - ლი,
qva - - - ve - bu - - - li; mor - chi k'e - ti - - - li,

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The lyrics are in Georgian and English:

ე - დემ - ს ში - ნა ნერ - გუ - - - ლი; ალ - ვა სუნ - ნე - - - ლი,
e - dem - s shi - na ner - gu - - - li; al - va sun - ne - - - li,



OF GEORGIA

System 1:

Soprano: სა - მო - თხეს აღ - მო - სრუ - ლი;

Alto: სა - მო - თხეს აღ - მო - სრუ - ლი;

Bass: sa - mo - tkhes agh - - - mo - sru - - - li;

System 2:

Soprano: ღმერთ - მა - ი - ან შე - გამ - კო,

Alto: ღმერთ - მა - ი - ან შე - გამ - კო,

Bass: ghmert - ma - i - an she - gam - k'o,

System 3:

Soprano: ქე - ბუ - ლი; და - ი - ა თა - ვით თვი - სით მზე - ი - ე ხა - რ

Alto: ქე - ბუ - ლი; და - ი - ა თა - ვით თვი - სით მზე - ი - ე ხა - რ

Bass: ke - bu - li; da - i - a ta - vit tvi - sit mze - i - e kha - r

System 4:

Soprano: გან - ბრწყი - ნ - ვე - ბუ - ლი!

Alto: გან - ბრწყი - ნ - ვე - ბუ - ლი!

Bass: gan - brts'qi - n - ve - bu - - - lil!



7

ჩანერილია 1950–1960 წწ. თბილისი. ხმის ჩამნერი სტუდია „მელოდია“.
ასრულებდნენ: ანანია, ვლადიმერ და არტემ ერქომაიშვილები.
ნოტებზე გადაიტანა ლევან ვეშაპიძემ.

Recorded in 1950-60, Tbilisi. "Melodia" Recording Studio.
Performed by Anania, Vladimer and Artem Erkomaishvili.
Notated by Levan Veshapidze.

CD, track #7

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, 2/4 time. The vocal parts are written on three staves with lyrics in Georgian and English below them.

Soprano (Top Staff):

- Line 1: shen khar 30 - ნა - ნი ა - სლად აღ - ყვა - 30 -
- Line 2: 30 - ნა - ნი ა - სლად აღ - ყვა - 30 -
- Line 3: ve - na - - khi a - khlad agh - qva - ve -

Alto (Middle Staff):

- Line 1: ბუ - ლი, მორ - ჩი კე - თი -
- Line 2: ბუ - ლი, მორ - ჩი კე - თი -
- Line 3: bu - li, mor - chi k'e - ti -

Bass (Bottom Staff):

- Line 1: ლი, ი - დემ - ს ში - ნა ნერ - გუ - - ლი,
- Line 2: ლი, ი - დემ - ს ში - ნა ნერ - გუ - - ლი,
- Line 3: li, e - dem - s shi - na ner - gu - - li,



Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano, featuring lyrics in Georgian and English. The music is in G major, 2/4 time.

Section 1:

Soprano: ა - ღა - სუნ - ნე ღი, სა - მო - თხეს ა - ღმო -
 Alto: ა - ღა - სუნ - ნე ღი, სა - მო - თხეს ა - ღმო -
 Bass: a - l - i - v - a - sun - ne - i - e - li, sa - mo - tkhes a - ghmo -

Section 2:

Soprano: სრუ - ღი, ღმერთ - მან შე - გა - ბ - კო,
 Alto: სრუ - ღი, ღმერთ - მან შე - გა - ბ - კო,
 Bass: sru - li, ghmert - man she - ga - m - k'o,

Section 3:

Soprano: ვა - ვი - ნე გჯობს ქე - ბუ ღი და - ვით თვი - სით
 Alto: ვა - ვი - ნე გჯობს ქე - ბუ ღი და - ვით თვი - სით
 Bass: ve - ra - vi - n gjobs ke - bu li da - i - a ta - vit tvi - sit

Section 4:

Soprano: მზე - ი - ე ხა - რ გან ბრწყი - ნ - ვე რით. ღი.
 Alto: მზე - ი - ე ხა - რ გან ბრწყი - ნ - ვე ღი.
 Bass: mze - i - e kha - r gan brts'qi - n - ve bu li.



ჩაწერილია 1960 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსაში
ვლადიმერ ახობაძის ფოლკლორული ექსპედიციის მიერ.
ნოტებზე გადაიტანა ლევან ვეშაპიძემ.

Recorded in 1960 in the Lanchkhuti district in Supsa Village by
Vladimer Akhobadze's folkloric expedition.
Notated by Levan Veshapidze.

CD, track #8

Moderato

r i t.

a tempo

